



საშავშვო ქრისტიანული ჟურნალი

1  
2022



# ჩასაც დათესავ იმას მოიმაკი

მახსოვს, დიდი ხნის წინ (მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი), ჩვენ ზამთრის ბოლოს ქოთნებში ხორბალს ვეთესავდით. რა ძალიან გვიხაროდა. ყოველ დღე ავებრებოდი ხოლმე სკამზე და ვუყურებდი ფანჯრის რაფაზე მდგარ თიხის ქოთანს: გაიზარდა იქ რამე თუ არა. ერთ-ერთ დღესაც დავინახავდი, რომ ფხვიერი მიწის თავზე მწვანე ღინღლები ჩნდებოდა, და რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ზედაპირი იფარებოდა ჯეჯილით. მე ვიცოდი: მალე აღდგომა დადგებოდა. შემდეგ ამ ქოთანში დედა ჩაალაგებდა შეღებილ კვერცხებს. რა დამოკიდებულება ჰქონდათ კვერცხებს აღდგომასთან, მე არ მესმოდა, მართალი გითხრათ დღესაც არ მესმის. მაგრამ ჩემს მახსოვრობაში ღრმად აღიბეჭდა იღუმალეების განცდა: ჩემი ხელებით ვეთესავდი ხორბლის მარცვლებს და ისინი იზრდებოდა!

ბიბლია გვასწავლის, რომ ასე არა მხოლოდ ხორბლის მარცვლებთან ხდება არამედ სხვა თესვებთანაც, ანუ ყველაფერთან, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. „რასაც დათესავს ადამიანი, იმას მოიმაკის“ — ასე უბრალოდ და ნათლად ამბობს ბიბლია იმის შესახებ, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ და ვაკეთებთ, იმის შესახებაც, რასაც ვფიქრობთ. თუ ჩვენ რაიმე ცუდზე ვფიქრობთ, ცუდსაც ვლაპარაკობთ. ჩვენი სიტყვები თესვებივით არის: თქვი რაღაც ცუდი მეგობარზე — და დაკარგავს მეგობარს, თქვი სიცრუე — და გული სიმძიმით აივსება.. . .

იესო ამბობს: იმის მიხედვით, რასაც ვეთესავთ, და იმის მიხედვით, როგორი ნაყოფები მოგვაქვს, შეიძლება იმისი გაგება, როგორები ვართ ჩვენ. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი გეწამდეს ღმერთი, ვუსმინოთ მშობლებს, ვიყოთ მეგობრულები და თბილები, გულმოდგინენი და ერთგულები! შენ იკითხავ, საიდან გვაქვს ასეთი ცუდი აზრები, ცუდი სიტყვები და ქცევები, რომლებსაც თავად გრცხვინია? გეტყვი. იმაზე, რასაც ვკითხულობთ, ვუყურებთ, ვისთანაც ვმეგობრობთ და ერთობა გვაქვს, დამოკიდებულია ჩვენი შინაგანი ცხოვრება. იმაზე, რასაც ვაკეთებთ, დამოკიდებულია ჩვენი აზრები და სიტყვები. ეს ისეა, როგორც ხორბლის მარცვლებთან. თუ გულში მიუღებელი ფილმლი „დათესე“, საიდან უნდა მოვიდეს კეთილი აზრები? თუ მეგობრობ იმ ბიჭებთან და გოგონებთან, რომლებსაც არ სწამთ ღმერთი, იგინებიან და ა. შ. რა ითვისება შენს გულში? ზუსტად ისე, როგორც შენი სიტყვები, კეთილი ანდა უკეთური, — ის „თესვებია“, რომელთაც თესავ შენს ირგვლივ, ასევე შენი მეგობრების სიტყვები და ქცევები ახდენს შენზე გავლენას. ამიტომაც ბიბლია, იყენებს ძველ ბერძნულ ანდაზას და გვაფრთხილებს: ცუდი წრე ხრწნის კეთილ ჩვევებს.

და კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი მინდა ვუთხრა იესოს ყველა მორწმუნეს: იმის მიხედვით, როგორც იქცევი, ლაპარაკობ და ექცევი ადამიანებს, შენს ირგვლივ მყოფნი — შენი მეგობრები, თანაკლასელები, მეზობლები, ბავშვები და მოზრდილები, — ყველა, ვისაც ხვდები და ვისთანაც გვაქვს საქმე, მსჯელობენ ქრისტეზე. „აი ასეთები არიან — მორწმუნეები!“ — ამბობენ ისინი. ჩვენ კი, ხომ არ გვინდა, რომ იესოზე ცუდს ფიქრობდნენ? ამიტომაც ყველაფერში მაგალითი ავიღოთ იესო ქრისტესგან, ვინც მხოლოდ კეთილს ლაპარაკობდა, კეთილ საქმეებს აკეთებდა და ყველას დიდი სიყვარულით ეპყრობოდა.

# დაუიფრული მუხლი

შეადგინა ტ. ლ.

შეცვალე ნახატები  
სიტყვებით,  
და წაიკითხავ  
მოციქულ პავლეს  
ფასეულ შეგონებას.



(ეფ. 4:32)

იცი თუ არა...


რომ კოდალები იცავენ თავიანთ  
მომარაგებულ საზრდოს  
უცხოებისგან, მაგრამ უფოფენ ამ  
საზრდოს თავისი გუნდის წევრებს?



- |  |              |  |               |  |             |
|--|--------------|--|---------------|--|-------------|
|  | – მაგრამ     |  | – და          |  | – მოგიტევათ |
|  | – იყავით     |  | – მიუტევეთ    |  | – თქვენ     |
|  | – კეთილნი    |  | – ერთმანეთს   |  | – ღმერთმა   |
|  | – ერთიმეორის |  | – როგორც      |  | – ქრისტეში  |
|  | – მიმართ     |  | – თანაუგრძნეთ |  |             |

## ჩრევა

ნახატი ი. კ.



რომელი გზა  
მიგიყვანს  
შენ ბიბლიურ  
ციტატასთან? ამ  
გზაზე სიტყვების  
კითხვისას, შენ  
გაიგებ, რას გვიჩვენებს  
მოციქული პავლე.



# ხორბალი და ღვარძლი

გ. ტ.

იესო ხშირად ყვებოდა ისტორიებს ცათა სასუფეველის შესახებ. ადამიანები მას დიდი ინტერესით უსმენდნენ, უჩვეულო ისტორიები, განსაკუთრებით კი ჭკუისსასწავლი, ხომ ყველას მოსწონს. ერთხელაც იესო მივიდა ტბასთან, რომლის ნაპირზეც ბევრი ხალხი შეკრებილიყო მის მოსასმენად. იესომ მოუყვა მათ იგავი.


ცხოვრობდა ერთი შეძლებული კაცი. ყველაფერი ჰქონდა, კარგი სახლი, დიდი ბაღები, ყანის მინდვრები და ხორბლის შესანახი ბეღლები. ამ ადამიანს მსახურებიც ბევრი ჰყავდა, რომლებიც მუშაობდნენ თავიანთი ბატონისთვის მის დიდ მეურნეობაში: ასუფთავებდნენ მიწას, შეჰქონდათ სასუქი, ხნავდნენ, რომ შემდეგ დაეთესათ ხორბალი. ხოლო, როდესაც მკადასრულდებოდა, სიხარულით ავსებდნენ ცარიელ ბეღლებს მოსავლით.

პური, რომელსაც აცხობდნენ მინდვრებში მოყვანილი ხორბლისგან, ძალიან ფასეული იყო ისრაელში. ამიტომაც ბატონმა საუკეთესო მინდორი აარჩია და ბრძანა, რომ იქ საუკეთესო თესლი დაეთესათ. მსახურებმა მაშინვე შეასრულეს მისი ბრძანება. გავიდა ხანი, ჯეჯილმა თავი წამოყო. ახლა მხოლოდ მკას უნდა დალოდებოდნენ, რათა შეეკრიბათ მოსავალი და გაეყიდათ ბაზარზე.

თუმცა, ერთხელაც ერთ-ერთმა მსახურმა აღმოაჩინა, რომ ყანაში სხვა მცენარეებიც იდგა, რომლის თავთავები კი ჰგავდა ხორბლისას, მაგრამ სინამდვილეში ველური ბალახი იყო. მსახურები შეცბუნდნენ და საგონებელში ჩავარდნენ. რას იტყვის ბატონი? მათ ხომ არ დაადანაშაულებს? მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის, ამიტომაც ჯობია მან იცოდეს ყველაფერი. ერთ-ერთი მუშაკი მივიდა ბატონთან და აღელვებულმა უთხრა: „ბატონო! ვშიშობ, რომ კარგი ამბის მაცნე არა ვარ - თქვენს ყანაში გამოჩნდა, რომელიღაც მცენარე. არავინ არ ვიცით, საიდან უნდა მოსულიყო ის! იქნებ თქვენი თვალით ნახოთ...“

ბატონი წავიდა მინდორში, რათა ენახა, რა მცენარეები გაიზარდა იქ. და მართლაც, და-





ნახატი ლ. გ.

ინახა, რომ ყანაში სხვა, ველური მცენარეები ამოსულიყო. საბედნიეროდ ბატონს არ გაუკიცხავს მსახურები. „საინტერესოა. . . - თქვა მან. ეს ნამდვილად მინდვრის ღვარძლია, ამასთან ყველაზე მაგნებელი! მგონი ვიცი, ვისი გაკეთებულიც არის ეს. ვიცნობ ერთ კაცს, ვისაც მუდამ შურდა ჩემი წარმატება და სამწუხაროდ მტრად მექცა. სწორედ მან, როცა ჩვენ ვისვენებდით, ჩათესა ეს ღვარძლი ჩემს მინდორში, რათა ზიანი მომეყენოს. თუმცა, არა უშავს, ამ საქმეს მე მოვამგვარებ.“

მაგრამ, ჩვენ როგორ მოვიქცეთ? - იკითხა ერთ-ერთმა მსახურმა. - ხომ არ დავგლიჯოთ ეს სარეველები?“ ბრძენმა ბატონმა უპასუხა: „არა, ახლა რომ დავგლიჯოთ სარეველები, შემთხვევით მასთან ერთად ხორბალსაც ამოგლეჯთ. დაე ერთად

იყვნენ მკამდე, მკის დროს კი ჯერ სარეველებს ამოვიძირკვავთ, შემდეგ ხორბალს მოვამგვარებთ. და ჩვენი მოსავალიც ისეთივე კარგი იქნება, როგორც ყოველთვის!“

მსახურები ასეც მოიქცნენ. და აი დადგა მკის დრო. ყველაზე მძიმე სამუშაო უკან დარჩა. ღვარძლი ამომარგლეს და ცალკე კონებად შეკრეს. ყანა კი მომკეს და დაახვავეს სპეციალურ ადგილზე, საიდანაც შემდეგში მას აიღებდნენ დასაფქველად. ფქვილისაგან დიასახლისები გემრიელ და ფუნთუშა პურებს გამოაცხობენ.

როგორ ფიქრობ?

1. რა აღმოაჩინეს მსახურებმა ბატონის მინდორში?
2. რა ბრძანა ბატონმა მზარდი ყანის შესახებ, როდესაც აუწყეს არასასიამოვნო ამბავი?
3. რა გავლენის მოხდენა შეუძლია ღმერთის სიტყვას ჩვენს ზრდაზე?



ეს იგავი ჩაწერილია მათეს სახარების მე-13 თავში 24-30 მუხლები

ახლა დაუფიქრდი იგავის მნიშვნელობას. მინდორი — ქვეყნიერებაა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, პურის თავთავეები — ის ადამიანები არიან, რომლებიც ისმენენ ღვთის სიტყვას და ასრულებენ მას. ღვარძლი კი შეიძლება იმ ადამიანებს უწოდოთ, რომლებიც არ ასრულებენ ღვთის ნებას და ეწინააღმდეგებიან მას. ის ვინც მინდორში ღვარძლი ჩათესა, — ღმერთის მტერია, რომელსაც არ სურს, რომ ღმერთის სასუფეველი გაიზარდოს და განმტკიცდეს. ბატონი კი — იესო ქრისტეა, ვინც გვიცავს ჩვენ საფრთხეებისგან და ზრდის ჩვენში თავისი სიტყვის თესლს. მისი მსახურები — ანგელოზები არიან, რომლებიც ასრულებენ თავიანთი ბატონის დავალებებს. ჩვენ, ხორბლის თავთავეებს უნდა გვახსოვდეს, რომ უფალს ვუყვარვართ და ზრუნავს თავის შვილებზე და არავის მისცემს უფლებას ჩაახშოს ჩვენში ღმერთის სიყვარული.

# მოხანი ამ!

ტ. გ.

მე — „ნაყოფიერი ხე“ ვარ (დაბ.1:1), ვარდისებრთა ოჯახიდან. ათეულობით ჯიშია გავრცელებული მთელს მსოფლიოში, თუმცა სამშობლოდ ცენტრალური აზია ითვლება. არსებობს ველური სახეობებიც, თქვენ შეიძლება შემხვდეთ ტყის ნაპირებზე. შესაძლოა თქვენს ბაღშიც ვიყო, მაგრამ გვერდს ისე ჩამოვლი ხოლმე, რომ ყურადღებასაც არ მაქცევ. არადა, მეც ხომ შემოქმედმა შემქმნა მესამე დღეს.

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად გვაკავშირებენ დავსთან და მანკიერ მიდრეკილებებთან. თითქოსდა ჩემი ნაყოფი იწვევს ამას. გაიხსენე ბიბლიური ისტორია აკრძალული ნაყოფის შესახებ, რომლითაც გველმა აცდუნა ევა. თუმცა ეს აუცილებლად ჩემი ნაყოფი არ ყოფილა! თავიდან ხომ ჩემს სახელს უწოდებდნენ ყველა ხის ნაყოფს.

ამბობენ, ისააკ ნიუტონი (1642-1727), ცნობილი ინგლისელი სწავლული, კლასიკური მექანიკის ფუძემდებელი, ერთხელაც ჩემი ხის ქვეშ იჯდა, და მოხდა მოსახდენი — ნაყოფი ჩამოვარდა და თავზე დაეცა. და რა? ის დაფიქრდა გრავიტაციული მიზიდულობის ძალაზე და აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი!

ასე რომ ბევრი კარგი რამეც არის ჩვენთან დაკავშირებული. ჩემი ნაყოფები წვნიანია, გემრიელი, არომატული. ამ ნაყოფებისგან მზადდება პოვიდლო, კომპოტი, კისელი.

ნახატი მ. ხ.

შეიძლება მათი ჭამა როგორც ცოცხლად, ასევე გამოშრალ მდგომარეობაში, შეიძლება ტკბილი სალათის მომზადება თუ დაუშატებთ ჩამიჩს, თხილს და ცოტა დარიჩინს.

სხვენში, ყუთებში ჩალაგებული ჩემი ნაყოფები საკმაოდ დიდხანს ინახება, თითქმის მთელი ზამთარი, და ისინი ვიტამინებით არის სავსე. როგორი გემრიელი ნამცხვრები გამოდის მათგან! ალბათ დედაც და ბებიაც გიცხობენ თქვენ ამგვარ ნამცხვრებს!

ღმერთმა ჩვენ დიდი სიმაგრე და დღეგრძელობა მოგვცა. ჩვენ არ გვაშინებს ყინვა (ვუძლებთ 40 გრადუსიან ყინვას), არც სიცხე. მოსეს ასაკამდე (რჯ. 34:7) რომ მივადწიოთ მხოლოდ 20 წელი გვაკლდება. ჩვენს ველურ ნათესაებს კი შეუძლიათ იცოცხლონ და ინაყოფიერონ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც „ენოქი დადიოდა ღმერთის წინაშე“ (დაბ. 5:22). წაიკითხეთ ეს ტექსტები და გაიგებთ ჩემს ასაკს.

ჩემზე წერს წინასწარმეტყველი იოელი (1:12). ხოლო ბრძენი სოლომონი კეთილ სიტყვას („მოსწრებულ სიტყვას“, იგვ. 25:11) ვერცხლის ჭურჭელში ჩალაგებულ ჩემს ნაყოფებს ადარებს. და მართლაც, ნამდვილად ასეა!

ახლა უკვე იცი, რა მქვია მე. რა თქმა უნდა მე ვაშლის ხე ვარ შენს ბაღში და ჩემი ნაყოფები — ვაშლებია.



# გამოსანები

პ. კ.



**1.** ჩიტებს თავისი ბუდეები აქვთ, მელიებსაც აქვთ სოროები... ვის არ ჰქონდა აქ, დედამიწაზე თავის მისადრეკი? .....

**2.** ვინ იყო მათე მახარებელი: დარაჯი, მთესველი თუ? .....

**3.** რომ გასძლოს ახალმა სახლმა და წყალდიდობამ ვერა დააკლოს, საჭიროა მისი აშენება .....



**4.** ვის ბრძანებას ემორჩილება მზე და უნათებს კეთილებსა და უკეთურებს? .....



**5.** ეგეოსის ზღვაში არის კუნძული, რა სახელი აქვს მას და რა დაიწერა ამ კუნძულზე? .....

**6.** ჯვარცმისას, რომელი მოციქული იყო ახლოს და მოისმინა იესოს სიტყვები? .....

ნახატი პ. კ.

# მღალახა

## პატარა საგანძური

საღამო დგებოდა, მზის სხივები ეფინა მწვანე, ფაფუკ მდელოს, რომელზედაც ბავშვები დარბოდნენ. აქ ისინი ყოველდღე თამაშობდნენ; თითოეულს თავისი საყვარელი ადგილი ჰქონდა შერჩეული, თითოეულს თავისი სანუკვარი ოცნება ჰქონდა გულში.

ქერა, ლურჯთვალა გოგონა შეჰყურებდა ცას, რომელიც ძალიან, ძალიან ახლოს იყო მასთან. მკერდზე თავის საყვარელ თოჯინას იხუტებდა, ანანაუბდა და უმღეროდა:

ნუ კრთი პატარა, ნუ გეშინია,  
შენთან ვიქნები დღისით და ღამით,  
ყველგან, ყოველთვის დაგიცავ ჩემო  
არ მიგატოვებ არცერთი წამით. . .

მილენა ობოლი იყო. მას უკვე შვიდი წელი შეუსრულდა. ხვალ სხვა ბავშვთა სახლში უნდა გადასულიყო. თავს უკვე დიდად თვლიდა. მის ბავშვურ გონებაში გვემა მწიფდებოდა. ის არ ფიქრობდა

საკუთარ თავზე, არც მოსალოდნელ ცვლილებებზე მის ცხოვრებაში, არც სკოლაში წასვლაზე. ყველაზე მეტად მას არ სურდა განშორებოდა თავის თოჯინას, რომელიც ძალიან შეიყვარა. პაწაწინა თოჯინამ, რომელიც ხელის გულზე ეტეოდა, დახუჭა თვალები, მისი შემხედვარე მილენაც დამშვიდდა.

ბინდი ჩამოწვა. თამაშები შეწყდა ქუჩაში. წვიმა წამოვიდა მოჯარული ღრუბლებიდან. ობოლი ბავშვები პატარა ოთახში იყვნენ და იქ თამაშობდნენ. ვერავენ ამჩნევდა ჩაფიქრებულ მილენას, აღშრდელიც კი. ამ ბოლო ხანებში ის მიჯდებოდა ხოლმე კუთხეში თავის თოჯინასთან ერთად, უამბობდა მას ზღაპრებს, ნანინას ეუბნებოდა. ყველა მიეჩვია გოგონას მშვიდ ხასიათს. თუმცა მის გულში ენით აღუწერელი წუხილი იდგა თავისი პატარა, საყვარელი თოჯინას გამო. მან ფრთხილად დააწვინა თოჯინა და მიუახლოვდა ძველ ფორტეპიანოს:

— მაპატიე, პატარა, რომ დღეს შენთან ერთად ვერ დავიძინებ. არ მინდა ერთმანეთს დაგშორდეთ, ამიტომაც უნდა დაგმალო.

ამ სიტყვების შემდეგ, მან თავისი თოჯინა დამალა პატარა ღრეჩოში, რომელიც კედელსა და ძველ ინსტრუმენტს შორის იყო. შემდეგ სხვა ბავშვებთან ერთად წავიდა დასაძინებლად. მისი ბავშვური გული მფოთავდა და კიდევ დიდხანს ვერ შესძლო დაძინება.

ღილით ბავშვები გააღვიძეს და საუნძმის შემდეგ გამოსამშვიდობებლად აჩუქეს სასკოლო ჩანთები. ჩანთებში ბევრი





საინტერესო ნივთები ელაგა: რვეულები, კალმები, ფანქრები. . . ყველაზე მთავარი კი იყო ის, რომ იქ თავისუფალი ადგილიც იყო. მილენას გულზე მოეშვა. მისი საყვარელი თოჯინა თავისუფლად მოთავსდებოდა ახალ ჩანთაში. სანამ სხვა ბავშვები ათვალიერებდნენ საჩუქრებს და ემზადებოდნენ წასასვლელად, მილენამ გამოიღო ღრეჩოდან თავისი პაწაწინა თოჯინა და ფრთხილად ჩააწვინა საიმედო ადგილას რვეულებს შორის. თუმცა თავს მოუსვენრად გრძნობდა, სწორად იქცევა თუ არა, შეუძლია თან წაიღოს ის, რაც ასე ძვირფასია მისთვის?

მოვიდა ავტობუსი. ბავშვები ავიდნენ და დასხდნენ სკამებზე. მათ წინ მოგზაურობა ელოდათ უცნობი ადგილების გავლით ბავშვთა ახალი სახლისკენ. ავტობუსის ფანჯრებიდან ახალი ხედები იშლებოდა მათ თვალწინ. . . ასე დამთავრდა ობოლი მილენას ბავშვობა.

### შეხვედრა მამასთან

იმ ბავშვთა სახლში, სადაც მილენა მიიყვანეს ყველაფერი სხვანაირად იყო. აქ მას მოუწია იმ წესების გაცნობა, რომელიც უფროსი ბავშვების მიერ

იყო დადგენილი და ზოგი წესი სასტიკი იყო. გოგონას ახალი მეგობრები გამოუჩნდნენ, რომლებთან ერთადაც სწავლობდა და ატარებდა თავისუფალ დროს. სწავლა ეადვილებოდა, თუმცა გულის სიღრმეში ნატრობდა მშობლიურ სახლს, რომელიც არასოდეს ენახა. საღამოობით კვლავ გულში იხუტებდა თავის საყვარელ, პაწაწინა, ერთის შეხედვით ჩვეულებრივ თოჯინას და კვლავ უმღეროდა და უყვებოდა თავის ამბებს. როდესაც საძინებელ ოთახში სხვა ბავშვები იძინებდნენ და სიმშვიდე დაისადგურებდა ხოლმე, მილენა შეჰყურებდა მოციმციმე ვარსკვლავებს და ოცნებობდა იმაზე, რომ ერთხელაც მოვიდოდა ვინმე, გულში ჩაიკრავდა მას, გადაკოცნიდა და უამბობდა რაღაც კარგს, ისევე როგორც ის უამბობდა ხოლმე თავის ამბებს თავის თოჯინას. ამ ფიქრებით ეძინებოდა და უფალი უგზავნიდა მას ტკბილ სიზმრებს.

გავიდა ოთხი წელი. აზრები დედაზე და მამაზე არ შორდებოდა მას. როგორები იყვნენ ისინი? სად არიან ახლა? რატომ მიატოვეს? ხანდახან მასთან ერთად მყოფი ბავშვები უყვებოდნენ მას სევდიან ამბებს საკუთარ თავზე, როგორ შიმშილობდნენ, როგორ მიატოვეს მშობლებმა, ზოგიერთი მათგანის მშობლები კი მუდამ მთვრალეები იყვნენ. . . ამ ბავშვებს ერთი დიდი ტკოვილი აერთიანებდათ — ისინი მიტოვებულები იყვნენ. ასეთ მომენტებში მილენა ცდილობდა ცალკე, დიდი ხეების ქვეშ ეპოვა



ნუგეში. მან არ იცოდა, რომ მისი ბავშვური ტკივილი ესმოდა მას, ვინც ყოველთვის იყო გვერდით, იცავდა მას და უყვარდა ის.

ერთ-ერთ მზიან დღეს, როცა თოვლი ქრებოდა მინდვრებიდან, მაგრამ ჯერაც ციოდა, ბავშვთა სახლში მოვიდნენ მისიონერები. ბავშვებს მოსწონდათ ახალ ადამიანებთან შეხვედრა. გულის სიღრმეში თითოეული ოცნობებოდა იმაზე, რომ ერთხელაც ვინმე წაიყვანდა მას, ამიტომაც ყველა ცდილობდა ყოფილიყო თავაზიანი და გულისხმიერი. მხოლოდ მილენამ არ იცოდა სტუმრების მოსვლის ამბავი, იჯდა ხის ქვეშ და თავის თოჯინას ეთამაშებოდა.

— როგორ არის საქმე პატარა? — გაიგონა სასიამოვნო, ნაზი ხმა. როდესაც თავი ასწია დაინახა გოგონა, რომლის თვალებიც სიკეთეს ასხივებდა. — მოლით გავიცნოთ ერთმანეთი. მე ლანა მქვია, შენ?

— მილენა.

— შენს თოჯინას?

— ოლია.

— ლამაზი სახელია, შენ დაარქვი?

— ჰო, ეს ჩემი პატარაა, არავის არ მივცემ მას.

— რა თქმა უნდა. წავიდეთ ვითამაშოთ, ოლიაც წამოიყვანე. ჩვენ კვირაობით მოვალთ ხოლმე თქვენთან და მოგიყვებით იესოს შესახებ. შენ იცი რამე იესოზე?

— ძალიან ცოტა რამ, — შეცბა მილენა.

— არაფერია, ახლა გაიგებ. ის ძალიან კეთილია და უყვარხარ შენ!

გოგონას თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაივლიდა. მას ახარებდა ქრისტიანების მოსვლა, მოსწონდა მათი უშუალობა, და კიდევ — სათამაშოები, რომლებიც მოჰქონდათ ამ კეთილ ადამიანებს. ისინი ესაუბრებოდნენ ბავშვებს, ასწავლიდნენ მათ თამაშებს და უამბობდნენ დიდებულ ღმერთზე, ვისაც უყვარდა ისინი.

ლანა შეჰპირდა მას, რომ მოვიდოდა ყოველ კვირა დღეს. მილენა მოუთმენლად ელოდა მასთან შეხვედრას და ახალი ამბების მოსმენას იესოზე: მისი შობის, ცხოვრების, სასწაულების, მისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ.


დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, და მისი ბავშვური გული თითოეულ სიტყვას იწოვდა იესოს საოცარი ცხოვრებისა და სიყვარულის შესახებ ადამიანებისადმი. მან შეიტყო, რომ იესო განსაკუთრებულად ეპყრობა ბავშვებს, რომ ყოველთვის იცავს მათ და არასოდეს მიატოვებს იმ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ ის და მიჰყვებიან მას. გოგონამ ისიც გაიგო, რომ ღმერთი ობოლთა მამაა. და ღმერთის ეს საოცარი შეპირება, რომ იზრუნოს და უყვარდეს ისინი, ვინც მშობლებმა მიატოვეს, იმდენად შეეხო მის გულს, რომ ერთხელაც, კვირა დღეს მილენამ ლოცვით მიმართა უფალს, რომ მიეღო, მიეტყუებინა და ყვარებოდა ის. . . ღმერთი მამა გახდა მისი. ცოცხალმა რწმენამ და სიხარულმა აავსო მილენას გული.

ნახატი ე. მ.



# ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ბ ი ბ ც ი ა შ ი

ექვსი ბიბლიური გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას გვხვდება დასახლებული პუნქტების სახელებიც. იპოვე თითოეული ქალაქისა თუ დასახლების გამომხატველი ნახატი და მასთან დაკავშირებული პერსონაჟი.



ნახატი ლ. გ.

იცი თუ არა...

რომ წყალზე მოცურავე ჩიტები-მეჩაღიები სეზონის მანძილზე ორჯერ დებენ კვერცხებს და რომ ადრე გამოჩეკილი ბარტყები მონაწილეობენ მეორე ბუდობის გამოჩეკაში და შემდეგ ქმარებიან მშობლებს თავიანთი პატარა და-ძმების გამოკვებაში.



1. ამ ქალაქში გაატარა მან თავისი სიჭაბუკე და მწყემსავდა თავისი მამის ცხვრებს (1 მეფ. 17:12-15).
2. ეს მისი მშობლიური ქალაქი იყო (საქ. 21:39).
3. ის ბევრ სიკეთეს უკეთებდა ადამიანებს ამ ქალაქში (საქ. 9:36).
4. ამ ქალაქში მიაგლინა ის ღმერთმა საქადაგებლად, რომ ადამიანები მოქცეულიყვნენ თავიანთი ბოროტი საქმეებიდან (იონა 1:1-2).
5. ამ დასახლებაში ცხოვრობდა ეს კაცი, იქვე მოკვდა და აღადგინა იესომ (იოან. 12:1).
6. ეს ქალაქი მან უბრძოლველად აიღო (ისნ. 6 თავი).



# როგორ გახდა კუნძი ბულუსკი

ი. პ.

დასასრული. აქ ნახატი ლ. გ.



„ადკა, არ გინდა, ნუ გააკეთებ ამას!“ — შეეცადა დათვის ბელის სახიფათო წამოწყების შეჩერებას ყვავი კარკა. „რა გინდა, რა?“ — მიუგო ველოსიპედზე შემომჯდარმა და დასაშვებად



მოშხადებულმა ბელმა. „ჯობია, რომ არ დაეშვა, თორემ შენც დაიმტვრევი და ველოსიპედიც“ — რატომ დავიმტვრევით მეც და ველოსიპედიც?“ — გაუკვირდა ადკას. ბორცვი ციცაბოა, ამიტომაც დაიმტვრევით, ვერ შეაჩე-

რებ გაქანებულ ველოსიპედს.“ — ნუ დამჩხავი. მე ამ ბორცვს კარგად ვიცნობ. იცი, რამდენჯერ ვარ დაშვებული აქ!“ — „ველოსიპედით?“ — გაუკვირდა კარკას. „არა, არა, მაგრამ რამნიშვნელობა აქვს?“ — მშვი-

დად უპასუხა დათუნამ, უბიძგა თავს და თავისი სულ ახალი ველოსიპედით დაეშვა ფერდობზე. მოულოდნელობისაგან ყვავი კარკას პირი ღია დარჩა, ხმას ვეღარ იღებდა, რადგანაც წარმოიდგინა, რა შეიძლება მომ-



ხდარიყო და რა შეიძლება დამართოდა ამ ჯიუტ დათუნას. სწორედ დათუნას შედახილებმა: „ა-ა-ა! არა, არა!“ — გამოაფხიზლა გაშტერებული ყვავი. კარკა სწრაფად აფრინდა და დაუყვირა

ადკას: „გამაგრდი, მაგრად დაიკავე საჭე!“ თუმცა, რაღა დროს, უკვე გვიან იყო, ვინაიდან ადკას ველოსიპედი მთელი სისწრაფით მიეჯახა, სრულიად მოულოდნელად გამოჩენილ ხის ძირს

და დათუნია ადკა შიშისაგან დაჭყეტილი თვალებით, გაოცებისაგან გაღებული პირით და გაშლილი თათებით, ჰაერში აღმოჩნდა. . . „მე არ ვიცი ფრენა“ — წამოიძახა ადკამ, თუმცა იმავე



წამს გააგრძელა. — „არ ვიცი მაგრამ, თითქოს მიფერინავ, რა კარგია!“ ამ დროს დაინახა, რომ იქით საითაც მიფერინავდა დიდი ნაძვის ხე იდგა. თუ ახლავე არ გადაუხვია გვერდზე, მისი ფერენა

მალევე შეწყდებოდა. იმისათვის, რომ გამოესწორებინა სიტუაცია, ბელმა მთელი ძალით დაიწყო თათების ქნევა, რომ არ დასჯახებოდა ნაძვს. მაგრამ ვერ უშველეს თათებმა, რომლებსაც ის

ფრთებით იქნევდა და დათუნია მიასკდა ხეს. . . ბახ! მოხდა ის, რის შესახებაც აფრთხილებდა ყვაუი კარკა. დამტვრეული ველოსიპედი ერთ მხარეს ეგდო, ადკა კი, რომელიც ძლივს გა-



დარჩა ცოცხალი, — მეორე მხარეს. „ადკა, ადკა, არ მოკვდე ბიჭო! რა გჭირს? — აღელვებული ყვაუი თავს დასტრიალდებდა დამტვრეულ ადკას და ცდილობდა მის გონზე მოყვანას. — მიპა-

სუხე! ცოცხალი ხარ?“ — „არ ვიცი,“ — ამოიკენესა დათუნია, და თან ცალი თვალი გაახილა. „ვაშა, ვაშა! ცოცხალი ხარ!“ — დაიყვირა კარკამ. ჩემი ველოსიპედი მთელია?“ — დაინტერესდა

ადკა. „მთავარია, რომ შენ ხარ ცოცხალი! ძმობილო!“ — ხარობდა ყვაუი. თუმცა ადკა ამით არ დამშვიდებულა. „არა, არა! სად არის ჩემი ველოსიპედი?“ მან სცადა წამოდგომა, მაგრამ



ძლიერმა ტკივილმა აიძულა კვლავ დაწოლილიყო. — „ოჰ, რა ძალიან მტკიავ! რა მოხდა? მგონი, თათები მოვიმტვრეე. . . მორჩა, ახლა აქ დავრჩები მარტო!“ — დაიწყო ყმუილი დათუნია

ხმამაღლა. „არ დარჩები, — ამშვიდებდა ყვაუი. — მე დაგეხმარები! ახლავე წაველ და დაგუძახებსხეებს“. „არა! არა! არ არის საჭირო მათი დაძახება, ისინი არ მოისურვებენ ჩემს დახმარებას.“

— „ვითომ რატომ? — „რატომ და იმიტომ,“ — კენესოდა ადკა. „მაგას ახლავე ენახავთ, დაიხსავლა ყვაუმა და გაფრინდა. რა დიდი იყო ადკას გაოცება, როცა ყველა ცხოველი მოვიდა მასთან.



ერთნი მის ჭრილობებს, მეორენიკი დაეყვილ ადგილებს უვლიდნენ. მელაკუდამ და ზღარბმა ველოსიპედებით მთელი ტყე შემოიარეს ექიმების საპოვნელად. ციყემა თხილის კანფეტების მთელი



კალათა მოიტანა და ბაჭიასთან ერთად მიართვა მას. „წარმოიდგინე, რომ ესენი სამკურნალო აბებია, — შენც ხომ იცი, ყველას უყვარს.“ სხვა ცხოველებმა, მგლის მეთაურობით დაიწყეს



დამტვრეული ველოსიპედის შეკეთება. ადკას არ ესმოდა, რატომ ეხმარებოდნენ ისინი მას? ის ხომ ძუნწია? რატომ? ეს კითხვები ტანჯავდა ადკას მთელი თვე, სანამ საწოლში იწვა. უკანა თათე-



ბი თაბაშირში ჰქონდა, წინებზე კი მაღამო ესვა. თავი შეხვეული აქვს, სიარული არ შეუძლია, მათ კი, რომლებსაც არასოდეს არაფერს უყოფდა, მოჰქონდათ მასთან ტკბილეული და სათამა-



შოები. დრიკსაც კი ეხმარებიან ველოსიპედის შეკეთებაში, რომელსაც ის არავის ათხოვებდა ხოლმე. კითხვებით გატანჯულმა დათუნიამ გადაწყვიტა ძმისთვის ეთქვა ეს და მისგან მოესმინა



პასუხი. „დრიკ! რატომ მაჩუქა მელაკუდამ სურათებიანი წიგნი? მე ხომ არ მივეცი მას ზარი ველოსიპედისთვის. . . რატომ გეხმარებიან მგელი და ბაჭია შენ ჩემი ველოსიპედის შეკეთებაში?



მე ხომ არ ვათხოვე მათ ველოსიპედი საკატაოდ... რატომ მოდიან ცხოველები ახლომახლო ტყიდან და მოაქვთ ტკბილეული? მე ხომ მათთვის არასოდეს მიმიცია ტკბილეული. შენ რაღატომ დამ-



ტრიალებ თავს? რისთვის? არ მესმის,“ — დარცხვენილმა ადკამ ჩაქინდრა თავი. „არაფრის გულისათვის, უბრალოდ ისე. სიკეთის კეთება და სხვებისთვის რაღაცის გაზიარება ხომ შესანიშნავია!



გეტყვი საიდუმლოს: ამისაგან მე აი აქ, სადღაც შიგნით გამალეებით მიცემს გული. მინდა ვიყვირო და ვიხტუნო. ხოლო, როცა არ მინდა ვინმეს რამე გავუზიარო, მაშინ. . .“



„შენ არ გინდა ვინმეს რამე გაუზიარო?!“ — გააწყვეტინა ძმას ადკამ, რადგან არ სჯეროდა ის, რაც მოისმინა. „ჰო, ხანდახან ასეც არის, შენ რა გეგონა? — აღიარა დრიკმა. — იცი,



რა ძალიან მიჭირს თაფლის კამფეტების გაზიარება? ძნელია სათქმელად.“ — „ჰო, ეს ასეა, — ამოიხვნეშა ადკამ და შეხედა ძმას. — რა უნდა გვაკეთო, რომ მეც ასე ვიყო?“ „მე ვებრძვი ჩემს



სიძუნწეს, — უპასუხა დრიკმა — ვეუბნები საკუთარ თავს: ნუ ძუნწობ, წადი და გაუყავი სხვებსაც! შეხედე რამდენი რამეა შენს ირგვლივ: მეგობრები, ტყე, მზე. წარმოიდგინე რა მოხდება შემოქ-



მედმა, რომ წაიყვანოს მზე? ის ხომ მისი შექმნილია, მას ეკუთვნის. როგორ ჩამობნელებოდა ტყეში და მოწყენილობა დაისადგურებდა... მაგრამ შენც ხედავ, რომ შემოქმედი გულუხვია. მას



არაფერი არ მიაქვს. ამისაგან შენ კმაყოფილი და გახარებული ხარ. ამიტომ შენც ასე მოიქეცი, სხვებსაც გაუზიარე ის, რაც გაქვს და გაახარე ისინი. აი ასე ვიქცევი და ვახერხებ, რომ ჩემი



საყვარელი კამფეტები გაგუზიარო სხვებს,“ — დაამთავრა დრიკმა. „კარგია! მეც მინდა, რომ ჩემს გულშიც იყოს სინათლე და სიხარული! დამეხმარები? — ჰკითხა ადელვებულმა ადკამ



ძმას. „რა თქმა უნდა, რითი დავიწყობ? — გაუხარდა დრიკს. „დავიწყობ მელაკუდათი. იპოვე საწოლის ქვეშ ზარი, მინდა რომ მას ვაჩუქო. აი იქ კი, კარადის უკან, პატარა კასრია თაფლით,

მოიტანე აქ. იქვე კამფეტებიც მაქვს დამალული, მონახე, დღეს ყველასთან ერთად დავლიოთ ჩაი!“ აი ასე იქცა ძუნწი ადკა გულუხვ დათუნად და ტყეში უკვე ვეღარ არჩევდნენ ერთმანეთისა-



გან ძმებს, რადგან ორივე გულუხვები იყვნენ. თუმცა გარჩევა მაინც შეიძლებოდა, ერთ-ერთი კოჭლობდა და ეს გვაგონებდა იმ თვისებას, რომელიც ადკამ დიდი მოწადინების შემდეგ, დაამარცხა!

1791–1867

# მეცნიერი ფარადეი

თესდა არა მხოლოდ მეცნიერების თესვს,  
არამედ ღმერთის ცოცხალ რწმენასაც:  
კითხულობდა და ქადაგებდა ბავშვებისთვის  
და უამბობდა მათ ბიბლიის შესახებ



მ. ფარადეის პორტრეტი  
ც. ფილიპსის ფუნჯი, 1842 წ.

## ბავშვობა და სიჭაბუკე

როგორი მომავალეობელი სანახაობაა — მფრინავი ნაპერწკლები! ისინი ისე იფანტება, თითქოსდა ფეიერვერკიანო, გაფარვარებულ რკინაზე უროს ყოველ დარტყმაზე. მათზე დაკვირვება განსაკუთრებით საინტერესო ბინდ-ბუნდშია, როცა დღე ილევა და დაღლილი გლეხები მინდვრებიდან ბრუნდებიან, მამა კი ამთავრებს მორიგი გუთნის ანდა ცელის გამოჭედვას.

პატარა მაიკლს უყვარს სამჭედლოს კუთხეში ჯდომა. აქ ყოფნა გაცილებით საინტერესოა, ვიდრე სკოლაში. იქ მართლაც რთულია: მასწავლებელი მუდამ დასცინის მას იმის გამო, რომ არ შეუძლია ზოგიერთი ასოს წარმოთქმა. ერთხელ კი მაიკლის უფროსი ძმა - რობერტი - ბაზარში გაგზავნა როზგის საყიდლად, რათა მაიკლი დაესაჯა. თუმცა რობერტმა გადააგლო ის მონეტა, რომელიც მასწავლებელმა მისცა და ყველაფერი უამბო დედას. მათი



მაიკლ ფარადეი ლაზორატორიაში.  
მსაცვარი გ. მური, 1850 წ.

სწავლა ამით დასრულდა, მშობლებმა ბავშვები სკოლიდან წაიყვანეს. მალე მთელი ოჯახი ლონდონის შორიანხლოს მდებარე ერთ-ერთი დაბიდან ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად.

ცამეტი წლის მაიკლი უკვე მუშაობდა წიგნების მკაზმავად. მან ხელში მოხვედრილი ყველა წიგნის კითხვა დაიწყო. განსაკუთრებით სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა მოსწონდა „საუბრები ქიმიანზე“, „ბრიტანეთის ენციკლოპედია“, სტატიები ელექტრობაზე.

წიგნებმა შთააგონეს ჭაბუკი ფარადეი დაკავებულ იყო ქიმიური და ფიზიკური ცდებით. შუშის ბოთლით, ლუქით და თოკის ნაჭრით მან გააკეთა ელექტრო მანქანა. მუშაობისას ეს მანქანა ირგვლივ ნაპერწკლებს ყრიდა. მართლაც მომავალეობელი სანახაობაა.

სალამობით მაიკლმა დაიწყო სამეცნიერო ლექციებზე დასწრება. მალევე მოახერხა მოწყობილიყო ლაბორანტად ცნობილ ქიმიკოს ჰემფრი დევისთან სამეფო ინსტიტუტში. შემდეგ ორი წლით გაემგზავრა კონტინენტზე: თანახლდა თავის მასწავლებელს საფრანგეთში, იტალიაში და შვეიცარიაში.

## სულიერი ცხოვრება

მაიკლის მშობლები, მისი პაპა და ბებია მორწმუნე ადამიანები იყვნენ. ისინი ყოველ კვირა დღეს ესწრებოდნენ ღვთისმსახურებებს. ახალგაზრდა სწავლულცი არ იყო გამონაკლისი და ნათლობის შემდეგ გახდა კიდევ სახარების მქადაგებელი. ყოველ კვირას წმიდა პავლეს სახელობის ქუჩაზე მდებარე ეკლესიაში ფარადეი ლაპარაკობდა ცათა სასუფეველის საიდუმლოებებზე და ქრისტეზე, ვინც




უხსნიდა ამ საიდუმლოებებს ადამიანებს. მისი სიტყვა იყო ნათელი, უბრალო, მისაწვდომი. ბევრი მისი მეგობარი და კოლეგა - სწავლულები - მოდიოდნენ მისი ქადაგებების მოსასმენად. ფარადეი ხშირად ჩადიოდა ასევე სოფელში, ლონდონის ახლოს, სადაც ნახულობდა თავის მორწმუნე ძმებსა და დებს და ეხმარებოდა გაჭირვებულებს.

### სამეცნიერო მოღვაწეობა

უფალმა აკურთხა ფარადეის სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი გახდა ელექტრომაგნიტური ველის შესახებ სწავლების ფუძემდებელი და გენერატორის გამომგონებელი. მას ყველა დროის უდიდეს ფიზიკოსსა და ექსპერიმენტატორს უწოდებენ. სწორედ ექსპერიმენტის დროს 1831 წ. 29 აგვისტოს (იშვიათი შემთხვევა, როცა სამეცნიერო აღმოჩენას აქვს ზუსტი თარიღი!) სწავლულები პირველად დააკვირდნენ ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენას. მაიკლ ფარადეიმ აღმოაჩინა ელექტროქიმიური კანონები,

მისთვის რაინდის წოდების მინიჭება და ორჯერ მიიწვია სასახლეში, მაგრამ . . . ორივეჯერ იქ მისვლა კვირა დღეს იყო დაგეგმილი. ამის გამო მქადაგებელს არ შეეძლო ღვთისმსახურების გაცდენა და ორივეჯერ უარი უთხრა დედოფალს!

მაიკლ ფარადეი საუკეთესო ლექტორი იყო ლონდონში. ის მრავალ ლექციას კითხულობდა



„ფარადეის ტრანსფორმატორის“ დახმარებით აღმოჩენილ იქნა ელექტრომაგნიტური ინდუქციის კანონი



მაიკლ ფარადეი საჯარო საშობაო ლექციას კითხულობს სამეფო ინსტიტუტში (ლონდონი, 1955 წ). ლექციას ესწრებიან სამეფო ოჯახის წევრები.

რომლებიც ახალი მეცნიერების - ელექტროქიმიის - საფუძველი გახდა. ფარადეის საპატივსაცემოდ ელექტრო მუხტის საზომ ერთეულს (ფარადეი) ეწოდება. მან იწინასწარმეტყველა ელექტრომაგნიტური ტალღების აღმოჩენა. მის მიერ გამოგონებული გაზების გათხევადების მეთოდით დღემდე სარგებლობენ. იგი მსოფლიოს სამოცდათორმეტი სამეცნიერო საზოგადოებისა და აკადემიის საპატიო წევრი გახლდათ.

მეცნიერებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას უნდოდა

არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ მსურველებისთვისაც, ატარებდა საუბრებს ქიმიისა და ფიზიკის შესახებ ბავშვებთან, ატარებდა ცდებს, დაწერა წიგნი „სანთლის ისტორია,“ რომელსაც დღემდე გამოსცემენ. არასოდეს იღებდა გასამრჯელოს თავისი გამოსვლებისთვის და თუ მაინც იყო რაიმე ფულადი შემოსავლები, ის სამეფო ინსტიტუტის ფონდში რიცხავდა ამ თანხებს. ფული და ფუფუნება მას არ ხიბლავდა, თვლიდა, რომ მისი სიმდიდრე — ზეცაში იყო.

### რწმენის სანთლები


ფარადეი მხოლოდ მეცნიერების თესლს არ თესდა, არამედ ღმერთის ცოცხალ რწმენასაც. ესაუბრებოდა ბავშვებს და უყვებოდა მათ ბიბლიურ ამბებს.

მისი საყვარელი მუხლი ბიბლიიდან გალატელთა წერილის მე-9 თავის მე-9 მუხლი იყო: „სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის ჟამს მოვიმკით თუ არ მოვდუნდებით.“ სწორედ ასე ცხოვრობდა იგი.

ფარადეის სამეცნიერო ექსპერიმენტების ათინათებმა გაანათა კაცობრიობის მომავალი ტექნიკური პროგრესი, ხოლო მისგან ანთებული რწმენის სანთელი, რომელიც ღვთის სიტყვის სასანთლეზე იდგა, ცხოვრებას უნათებდა მის ირგვლივ მყოფთ.

# ის სოსხალია!

გამოიყვანე კროსვორდი,  
და გაიგება რა არის  
დაწერილი გამოყოფილ  
უჯრებში.



1. აღთქმული მიწა (დაბ. 12:5)
2. იესოს დასჯის იარაღი. (მარკ. 15:27-32)
3. მდიდარი კაცი, არამათიდან, - რომელმაც დაასვენა იესოს სხეული თავის ახალ სამარხში. (მათ. 27:57-60)
4. "მოვიდა მარია მაგდალინა და სხვა მარია, რომ ენახათ -" (მათ. 28:1)

5. რომელმა მოწაფემ უარყო ქრისტე სამჯერ? (მათ. 26:69-75)
6. ღმერთის ძე ---- ქრისტე
7. იესოს დედა (ლუკ. 1:26-31).
8. ქრისტეს აღდგომის დღესასწაული.
9. ვინ დარაჯობდა იესოს სამარხს? (მათ. 27:66)
10. ჯვარცმის ადგილი
11. პარასკევის მომღვენო დღე.

## იქი თუ არა...

რომ მოგზაურ თესლებს შორის არსებობენ არა მხოლოდ თესლები - აერონაუტები, რომლებიც ჰაერში გადაადგილდებიან დიდ მანძილებზე, არამედ თესლები - პილონაუტებიც, რომლებიც არ იძირებიან წყალში და კვეთენ ზღვებსა და ოკეანებს? ამისი მაგალითი ქოქოსის პალმის თესლებია.



# შესვლა


## აღღმარ

# ქრისტესთან

იესოს მეგობრებმა ბევრი თევზი დაიჭირეს (იოან. 21:1-14). ამასთან მათ აღმოაჩინეს ისეთი რამ, რაც არ შეცვლილა მათ მიმართ იესოს აღღმომის შემდეგაც.

იპოვეთ თითოეული კითხვის თევზი შესაბამისი პასუხით.

1. რამდენი ნიჩაბი აქვს ნავს?
2. რომელი ქალაქიდან იყო წარმოშობით ნათანაელი?
3. დაიჭირეს რამე მეზღურებმა იმ დამეს?
4. რა არის ტბაზე გადაადგილების საშუალება?
5. ზებედეს ძეთა სახელები?
6. რა ერქვა იმ ტბას, სადაც მოწაფეები იჭერდნენ თევზს?
7. დღის რომელ დროს მოვიდა იესო მათთან?
8. რომელ მეთევზეს ჰქონდა ორმაგი სახელი?
9. რა დროა საუკეთესო თევზჭერისთვის?
10. კიდევ რას ეძახდნენ თომას?
11. რა ერქვა სიმონ-პეტრეს ძმას?
12. რას იყენებენ თევზჭერისთვის?
13. სად შეხვდა იესო თავის მეგობრებს?
14. რამდენი თევზი აღმოჩნდა ბადეში?
15. რადენჯერ გამოეცხადა იესო თავის მეგობრებს?
16. რას ეძახიან იესოს მიმდევრებს?



არ შეცვლილა იესოს \_\_\_\_\_ მათ მიმართ.


ს. ს.

# 19. დედამიწის კიდემდე



წავიკითხვათ ისტორია რობინსონ კრუზოზე? ბავშვობაში ეს ჩემი საყვარელი წიგნი იყო. მე ვკითხულობდი ამ მამაცი ადამიანის თავგადასავლების შესახებ და მესიზმრებოდა ოკეანე, პალმები, ველური ტომები შუბებით. რა იზიდავდა რობინსონს უცნობ მიწებზე? ერთის შეხედვით მხოლოდ თავგადასავლების წყურვილი. მეც მინდოდა მოგზაურობა, ახალი ადამიანებისა და მიწების ხილვა, მაგრამ იმ დროს მე არ ვფიქრობდი კითხვაზე, რატომ იყო ეს საჭირო? ცხადია, მოგზაურობა ყოველთვის სასიამოვნოა, თუმცა ცხოვრების გატარება პეპელასავით, ყვავილიდან ყვავილზე, შემდეგ კი სადღაც კუთხეში დაჭკნობა, შეუფერებელია ადამიანისათვის.

ისტორია იცნობს მოგზაურებს, რომელთაც მაღალი მიზნები ამოძრავებდათ. ისინი შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ არა ვეზოტიკისა და ოკეანეების სანახავად, არამედ იმისათვის, რომ იქ



უ. კერი სწავლული ზრამინიანი



ხედი სერამპურზე.  
მხატვარი ჯ. ზ. ფრეიზერი, 1826 წ.

მცხოვრები ადამიანებისათვის მოეყოლათ ქრისტეს შესახებ, მიეტანათ მათთვის სახარება. ამ ადამიანებს მისიონერებს ეძახიან, ანუ იესო ქრისტეს სახელით მივლენილ ადამიანებს.

ერთ-ერთი ასეთი მისიონერი იყო უილიამ კერი (1761-1834), ახალგაზრდა ბაპტიستي ხუცესი ინგლისიდან. ის მეწაღე იყო და როდესაც კიდევ ერთ ლურსმანს არჭობდა ფეხსაცმლის ქუსლში, გულში ამბობდა: „უფალო, კიდევ ერთი ადამიანი მოიყვანე შენთან.“ უფალმა მას ინდოეთში მოუხმო, რომელიც მაშინ ბრიტანეთის კოლონია იყო.

კერიმ გადაწყვიტა კალკუტაში ჩასულიყო, თუმცა იმ დროს ქრისტიანებში გაგრძელებული იყო აზრი, რომ თუ უფალს სურს ვინმე უცხოტომელის მიყვანა თავისთან, ის ამას მახარებლების გარეშეც გააკეთებს-ო.

უილიამ კერი ინდოეთში ჩავიდა 1793 წელს და მაშინვე წააწყდა დიდ სიმნელეებს. მის წინააღმდეგ პირი შეკრეს ოსტ-ინდოეთის კომპანიის თანამშრომლებმა; ეს კომპანია მთელ კომერციულ საქმიანობას აკონტროლებდა იმ ქვეყანაში და ძალიან

მტრულად იყო განწყობილი სამისიონერო საქმიანობისადმი ადგილობრივებს შორის. იმისი შიშით, რომ ქვეყნიდან არ გაემეფებინათ და უმძიმესი ოჯახური სიტუაციის მიუხედავად (შვილის გარდაცვალება, მეუღლის ხანგრძლივი ავადმყოფობა და მომქანცველი შრომა ადგილობრივ ფაბრიკაში), ის მაინც მუშაობდა ბიბლიის თარგმანზე და ახარებდა ქრისტეს.


1800 წელს კერი ოჯახთან ერთად გადავიდა სერამპურის კოლონიაში, რომელიც შემდგომში სამისიონერო საქმიანობის ცენტრი გახდა ინდოეთში. კერიმ ბიბლია თარგმნა სამ ენაზე: ბენ-

გალიურზე, სანსკრიტზე და მარატხსკიზე. მისი თარგმანები არ გამოირჩეოდა კარგი ხარისხით, მაგრამ ადგილობრივებმა შეძლეს მოესმინათ სახარება მშობლიურ ენაზე, რამაც მოიტანა კიდევ პირველი შედეგები. 1818 წელს უკვე 600 ინდოელი იყო მონათლული და რამდენიმე ათასი ადამიანი ესწრებოდა ღვთისმსახურებებს.

უილიამ კერიმ ორმოცი წელი გაატარა ინდოეთში, უხდებოდა მტრულად განწყობილი ინგლისელი ჩინოვნიკების წინააღმდეგობის გადალახვა, ჰქონდა ოჯახური სიმძულეები. მიუხედავად კონფლიქტებისა და პრობლემებისა, მის გულში მუდამ მშვიდობა სუფევდა, და ის გულწრფელად ემსახურებოდა უფალს. მაგალითად 1812 წელს, ხანძრის დროს დაიწვა კერისაგან შედგენილი დიდი მრავალენოვანი ლექსიკონი, ორი გრამატიკის წიგნი და თითქმის დამთავრებული ბიბლიის თარგმანი ყველა საწყისი მასალით. იშვიათად თუ იპოვი ადამიანს, ვინც კვლავ ხელს მოჰკიდებდა ამ საქმეს, მაგრამ გაბედულმა მისიონერმა ხანძარი ღმერთის მოქმედებად ჩათვალა და უფრო დიდი მოწადინებით შეუდგა საქმეს.

კერიმ დიდი გავლენა მოახდინა მისიონერო მოძრაობაზე. მისი მაგალითის მიბაძვით ათასობით მისიონერი გაემგზავრა აზიასა და აფრიკაში.


ჩანჩქერი ვიქტორია  
ზამბეზიზე. 1857 წ.  
ილუსტრაცია



შესაძლოა, ყველაზე ცნობილი მისიონერი აფრიკაში გახდა დევიდ ლიფინგსტონი (1813-1873), ვისშიც საოცარი სახით იყო შერწყმული პირველადმომჩენი მეცნიერისა და ევანგელისტის ტალანტი. მან პირველად გამოიკვლია შავი კონტინენტის სიღრმეები და აღმოაჩინა ცნობილი ჩანჩქერი ვიქტორია, რომლის შესახებაც დაწერა: „ვერაგინ ვერაფერს შეადარებს ამ სილამაზეს. ასეთი რამ არასოდეს უნახიათ ვეროპელების თვალებს. ასეთ მშვენიერას და სილამაზეს ალბათ მხოლოდ მფრინავი ანგელოზები ხედავენ.“

მრავალი წლის მანძილზე დევიდ ლიფინგსტონი მხოლოდ აფრიკელებს ხვდებოდა, რომლებმაც შეიფარეს მისიონერი, ვინც განუწყვეტლოვ უამბობდა მათ მხსნელის შესახებ. და როდესაც მათ ლიფინგსტონი მკვდარი იპოვეს თავის სამოგზაურო კარავში (ის 1873 წელს გარდაიცვალა, მუხლებზე მდგომი, ლოცვისას), მისი გული დამარხეს ხე მპუნდუს ქვეშ, ხოლო სხეული ჩაიტანეს პორტში, 2000 კმ-ს მანძილზე. ინგლისში ლიფინგსტონის სხეული პატოვით მიაბარეს მიწას ვესტმინსტერის სააბატოში (ლონდონში).

მამაცი მისიონერები უარს ამბობდნენ კომფორტზე, სიმყუდროვეზე და მშვიდ ცხოვრებაზე, რათა შეესრულებინათ იესო ქრისტეს დაჯავლება და ხსნის უწყება დედამიწის კიდემდე მიეტანათ (საქმეები 1:8).





# დვთრსმრსაზრ ნოე

ცხოველების ტყავეებით დაფარულ მოწულ ნავეებს, ეძახიან გუფას. იპოვე ასეთი ნავი, რომელშიც ცხოველები არიან



იპოვე ღოქი სასმისით, რომლიდანაც ადამიანები ჩალის ღეროთი სვამენ.



მეომრები ატარებდნენ ტყავის მუზარადებს და ბეწვის ლაბადებს. იპოვე 8 მეომარი.



ნოე ფისს უსვამს ნავს, რომ მასში არ შეაღწიოს წყალმა. ხედავ მას?



გარეული მხეცები სახიფათონი იყვნენ ფარებისთვის. განსაკუთრებით სახიფათო იყო ლომი. იპოვე ის.



ბიბლიაში დაწერილია, რომ ღმერთმა გამოგზავნა წარღვნა დედამიწაზე, იმის გამო, რომ ადამიანები ბოროტები იყვნენ. ეს ილუსტრაცია, რომელიც ვერდნობა ძველ მესოპოტამიურ აღმოჩენებს, აჩვენებს მართალ ნოეს, რომელიც ზრუნავს იმაზე,

რომ გამოკვებოს თავისი თავი და ოჯახი. ნოეს ირგვლივ უკეთური ადამიანები ცხოვრობენ: ყველგან ლოთობა, ბოროტება და ძალადობაა.



გლეხებს მოჰყავდათ ქერი და სხვა მარცვლეული. რამდენ მომკვლს ხედავ სამკალში?



ნოეს ცოლი მარცვლეულს ფქვავს ხელსაფქვავეთ. სად არის ის?



ყველაზე ბასრი იმ ღროს იყო ბრინჯაოს იარაღი. იპოვე ცული.



ეტლები მხოლოდ მდიდარ ადამიანებს ჰქონდათ. იპოვე მეომარი, რომელიც უდიერად ექცევა ღარიბებს.



ნადირობის დროს ადამიანები მშვილდსა და ისრებს იყენებდნენ. იპოვე სამი მეომარი.



ბავშვები ბანაობისას ცხოველების გაბერილ ტყავს იყენებდნენ. აღმოაჩინე ბიჭი რომელიც თევზს იჭერს.




მდინარე წყლის ძირითადი რესურსი გახლდათ. ხედავ, სად რეცხავენ ნოეს რძელები თეთრეულს?



ნოეს ცოლს სჭირდებოდა წყალი პურის გამოსაცხობად. ერთ-ერთ რძალს მისთვის მიაქვს წყალი. ხედავთ მას?



ზეთისხილის ხეებს რგავენენ, იმიტომ, რომ მათი ნაყოფები გემრიელ ზეთს შეიცავს. ხედავთ ზეთსახდელს?



ნახატი პ. კ.

თხებს იმიტომ ამრავლებდნენ, რომ ცოტა საკვები სჭირდებოდათ და თითქმის ყველაფერს ჭამენ. იპოვე ნოეს სამი ძე, რომლებიც თხებს მწყემსავენ.



ცხვრები მდინარის პირას სძოვდნენ, რომელიც ხშირად გადმოდიოდა ნაპირებიდან. იპოვე 5 წყალსატევი მდინარის ახლოს.



ქალაქ ურის სამეფო თამაში, მაგიდაზე თამაში იყო. სად ხედავ ილუსტრაციას ამ თამაშს?

# მეზოსტნე

სემიონ პეტროვიჩისა და ანა მიხაილოვნას თავისი სახლი აქვთ ქალაქგარეთ. მათი შვილები უკვე დაოჯახებულები არიან და სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. ყოველ საღამოს, უნივერსიტეტიდან სახლში დაბრუნებისას, სადაც სემიონ პეტროვიჩი ასწავლის, ის მოსვენებასა და სიმშვიდეს თავის საყვარელ ბოსტანში პოულობს. სემიონ პეტროვიჩი თავგამოდებული მეზოსტნე-მოყვარულია. თითოეული ახალი საინტერესო მცენარე მისთვის პატარა დღესასწაულის მსგავსია.

ერთხელ სემიონ პეტროვიჩმა სტუმრად თავისი თანამშრომელის ოჯახი მიიპატიჟა. იდგა შაბათი დღე. სადილის შემდეგ მან სტუმრები ბოსტანში გაიყვანა, რათა მათთვის თავისი საგანძური ეჩვენებინა. და მართლაც კუზნეცოვები — საშა, ლილია, როზა და მათი მშობლები — განცვიფრებულები დარჩნენ. ზოგიერთი მცენარე მათ პირველად ნახეს.

სემიონ პეტროვიჩმა თქვა, რომ ისინი გოგრისებრთა ოჯახს განეკუთვნებიან, და ძალიან მრავალფეროვანნი არიან ნაყოფის ფორმითა და ორიგინალობით. სტუმრები გაეცნენ ისეთ მცენარეებს, როგორებიცაა: ლუფა-ღრუბელი, ანგურია — კიტრი-ზღარბი, ხორკლიანი მელლოტრია — აფრიკული კიტრი, მომორდიკა-დრაკონი, ციკლენტერა, ექონოცისტისი, კიტრი-პროფელიარუმი — ეკლიანი საზამთრო, ტრიხოზანტი — გველისებრი კიტრი. ყველა ჩამოთვლილი სახეობა საჭმელად ვარგისია.

საშას ყველაზე მეტად მომორდიკა-დრაკონი მოეწონა. ერთ-ერთი ნაყოფი გაიხსნა. ის მართლაც დეკორატიულად გამოიყურებოდა და დრაკონს ჰგავდა. საშამ შეიტყო, რომ მისი ნაყოფები მწარეა და პაპუასები ჭამის წინ მას ასველებენ.

ლილიას გველისებრი კიტრი მოეწონა, ის მას აგონებდა ჰაერის გველს. იაპონური ტრიხოზანტის მწიფე კიტრები კამკაშა ნარინჯისფერ-მოწითალო შეფერილობის არიან და სიგრძით 1 მ. აღწევენ. სემიონ პეტროვიჩი მოყვა, რომ ერთხელ, როცა ამ კიტრის ბუჩქს ჩაუარა, შემთხვევით წამოდო ერთ-ერთ ნაყოფს და 30 სმ-იან კიტრს ბოლო მოატეხა. უცებ მან დაინახა, რომ ეს ბოლო „ატირდა.“ ისიც ადგა და მოტეხილი ბოლო თავის ადგილას დააბრუნა, ისიც მიწებდა და მეორე დღესვე, თითქოს არაფერი მომხდარაო, განაგრძო ზრდა. ამ კიტრებს აქვთ ტკბილი ბოლოკის გემო.

როზას კიტრი-ზღარბი მოეწონა. მისი 8 სმ სიგრძის მწვანე ნაყოფები წვრილი უხეში ქაცვებით (ეკლებით) არის დაფარული და ნამდვილად წააგავს ზღარბის ეკლებს. მეზოსტნემ თქვა, რომ კიტრი-ზღარბის გემო ჩვეულებრივი კიტრის გემოს მსგავსია. მან მოწყვიტა რამდენიმე ანგურია და გაასინჯა სტუმრებს, რომლებიც თავად დარწმუნდნენ ამაში.

კუზნეცოვები სახლში შთაბეჭდილებებით სავსენი და ცოდნით გამდიდრებულნი დაბრუნდნენ ყველასათვის ასე კარგად ნაცნობი კიტრის სახეობების შესახებ.

კიტრი განეკუთვნება გოგრისებრთა ოჯახს. ეს სიტბოს მოყვარული, ერთწლიანი საბოსტნე მცენარეა. მცირე მოვრძო ფორმის მწვანე ფერის ნაყოფების მქონე ეს მცენარე ბოსტნეულად ითვლება. საკვებად ის გამოიყენება მანამდე, სანამ დამწიფდება და გაყვითლდება.





# კაჭრა

კიტრის ისტორიიდან

როგორც ჩანს კიტრის სამშობლო ინდოეთი უნდა იყოს. იქ, ტროპიკულ და სუბტროპიკულ ადგილებში ის დღემდე ხარობს ბუნებრივ პირობებში. ინდოეთიდან ის მოხვდა საბერძნეთში და ძველ რომში. კარლოს დიდის ეპოქაში ეს კულტურა მთელ შუა ევროპაში გავრცელდა. ბიბლიაში კიტრი მოხსენიებულია, როგორც ეგვიპტის ბოსტნეული.



ქმნილების სახანაუები

საინტერესო ფაქტები

წყნარი ოკეანის კუნძულებზე აბორიგენები იმარაგებენ კიტრებს ქარიშხლებისა და მოუსავლიანობის შემთხვევებისათვის. ისინი ბანანის ფოთლებში ხვევენ მას და მიწაში ფლავენ. იმ მხარეში კიტრი — ძვირფასი დელიკატესია. რაც უფრო მეტი კიტრი აქვს თადარიგში საქმროს, მით უფრო საინტერესოა ის მატერიალური კუთხით, ადგილობრივი სასძლოებისთვის. ფიჯის კუნძულებზე, მაგალითად, მშობლები თანხმობას მანამდე არ იძლევიან თავისი ქალიშვილის გათხოვებაზე, სანამ საქმრო არ წარუდგენს მათ თადარიგში არსებულ კიტრებს.

ირანში კიტრი ხილად ითვლება და მაგიდაზე სხვა ტკბილეულთან ერთად მიაქვთ.

ცოცხალი კიტრი სამკურნალო თვისებებს ფლობს. კიტრი შეიცავს კალიუმს, რომელიც აუმჯობესებს გულისა და თირკმელების მუშაობას. კიტრს იყენებენ ასევე დამწვრობისას, და კოსმეტიკურ საშუალებად ფერისმკაშვების, ქაილის და კანის ზოგიერთი სხვა დაავადების სამკურნალოდ. ცოცხალი კიტრი შედის კოსმეტიკური ნიღბების შემადგენლობაში სახისთვის. ეს ნიღბები ათეთრებენ კანს და მას მეტ ელასტიურობას ანიჭებენ.



რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში კიტრების ქანდაკებები დგას

ნახატი ა. ვ.

კაენის და აბელის ძღვენი



მ. ბ. 11 წლის, ხუბუთი




ბ. ვ. 12 წლის, უჩინა



ც. მ. 7 წლის, ხუბუთი

**პასუხები 22-23 გვერდებისა:**  
1. ლეთისმოსავეი ნოე



- გუფა ცხოველებით 1
- ლოქი სასმისით 2
- მეომრები 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10
- ნოე 11
- ლომი 12
- მომკვლეები 13, 14, 15, 16, 17

- ნოეს ცოლი 18
- ცული 19
- ნოეს ძეები 20, 21, 22
- ტბორები მდინარის გასწვრივ 23, 24, 25, 26, 27
- ქალაქ ურის სამეფო თამაში 28
- ზეთისხილის სახდელი 29

- ნოეს რძალი წელის დოქით 30
- ნოეს რძლები თეთრეულს რეცხავენ 31, 32
- ბიჭი მეფეზე 33
- მონადირეები 34, 35, 36
- უღიერი მეომარი ეტლზე 37



ბ. ხ. 9 წლის, უხაინა

პასუხები:

**წინა ნომრიდან: 4/2021**

**გვ. 6** კროსვორდი:

პორიზონტალურად: 2. იედიდია. 4. მოსე. 6. სამსონი. 8. დავითი. 10. ტიმოთე. 11. იოანე. 12. სოლომონი. 15. ჰეროდე. 17. ბოყაზი. 20. აბრაამი. 21. რეუბენი. 22. ლაბანი.

ვერტიკალურად:

1. ემმანუელ. 2. იუდა. 3. ბენიამინი. 5. იოსები. 7. მარიამი. 9. იესო. 11. ისრაელი. 12. სიმეონი. 13. ლოტი. 14. ნიკოდემოსი. 18. ზაქარია. 19. აარონი. 23. აბელი. 24. იონა.

**გვ. 11** რომელი პასუხია სწორი:

1/ბ (ლუკ. 1:57-58), 2/ბ (ლუკ. 1:26-28), 3/ა (ლუკ. 2:8-11), 4/გ (მათ. 2:1-11), 5/ა (საქ. 5:17-42), 6/ბ (საქ. 8:26-39), 7/ა (ლუკ 15:1-7), 8/გ (3 იოან. 1:4)

**გვ. 19** ვარსკვლავი:

1. უფალი. 2. ბეთლემი. 3. ემანუელი. 4. სიხარულს. 5. ქრისტე 6. მწყემსები 7. ანგელოზები 8. მინდორი 9. მარიამი 10. იესო 11. ღმერთი 12. მეფე 13. დავითის 14. ბაგა 15. იოსები 16. ოქრო.

**გვ. 25** ამბავი შობის შესახებ:

შობა, მარიამი, გაბრიელი, მხსნელი, იოსები, ბაგა, თვა, მოგვები, ვარსკვლავი, საჩუქრები.

**ახალი ნომრიდან: 1/2022**

**გვ. 3** დაშიფრული მუხლი: „მაგრამ იყავით კეთილნი ერთიმეორის მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტუვეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა“ (ეფ. 4:32).

**გვ. 3** რჩევა:

„ნურავის მიაგებთ ბოროტის წილ ბოროტს. ცდილობდეთ კეთილს ყველა ადამიანის წინაშე“ (რომ. 12:17).

**გვ. 7** გამოცანები:

1. იესო ქრისტეს. 2. მებაჟე. 3. კლდეზე. 4. ღმერთის ბრძანებით. 5. პატმოსი. გამოცხადება. 6. იოანე.

**გვ. 18** კროსვორდი

1. ქანაანი. 2. ჯვარი. 3. იოსები. 4. სამარხი. 5. პეტრე. 6. იესო. 7. მარიამი 8. აღდგომა. 9. დაცვა. 10. გოლგოთა. 11. შაბათი.

საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი  
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

**პალეპარ ბენსალი**

რედაქციის მისამართი გერმანიაში:

LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,  
70809-Kotmal, GERMANY.

ტან: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: [ezom@lio.org](mailto:ezom@lio.org)

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების  
ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: [lukhummaisuradze@yahoo.com](mailto:lukhummaisuradze@yahoo.com)

Facebook page: საბავშვო ჟურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა „საქსაწი“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

# მოდით ერთად ვიგალოთ



1. მო - დით, ერ - თად ვი - გა - ლო - ბოთ და ი -  
ე - სო გან - ვა - დი - ღოთ! მო - დით, ერ - თად ვი - გა - ლო -  
ბოთ და ი - ე - სო გან - ვა - დი - ღოთ! ო - სა - ნა,  
ო - სა - ნა, ო - სა - ნა, ო - სა - ნა! ო - სა - ნა,  
ო - სა - ნა, ო - სა - ნა, ო - სა - ნა!

ნახატი გ. კ.



ISSN 1987-720X



9 771987 720007